დანართი

# თვითშეფასების კითხვარი

## მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარის რუბრიკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 0 |
|---|---|---|---|---|
| არ ვიყენებ ამ პრაქტიკას ან მისი გამოყენება დადებით ზეგავლენას არ ახდენს მოსწავლეების სწავლის პროცესზე | ვიყენებ ამ პრაქტიკას, მაგრამ მხოლოდ ვხედავ დადებით მოსწავლეების პროცესზე | კარგად გამომდის ამ პრაქტიკის გამოყენება და ვამჩნევ მის მუდმივ დადებით ზეგავლენას მოსწავლეების სწავლის პროცესზე | ამ პრაქტიკის გამოყენება ჩემი ძლიერი მხარეა, მას ვარგებ მოსწავლეების საჭიროებებს, მოსწავლეთა მიღწევებში ვხედავ მუდმივ და პოზიტიურ შედეგს | არ შემესაბამება განმარტეთ) |
| | | | | |

| | | | | | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1** | **2** | **3** | **4** | **0** | |
| **A** | სასწავლო გარემო | | | | | | |
| A1a | ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო **(**მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობა**): 4** პუნქტი | | | | | | |
| აღწერა | "ურთერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემოს შექმნა"  მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: მოსწავლეებთან კეთილგანწყობილი და მზრუნველი ურთიერთობის დამყარება, მათთან პატივისცემით გამსჭვალული კომუნიკაცია, შემწყნარებლობის გრძნობის წახალისება მოსწავლეებში და შესაბამისი აქტივობების გამოყენება, მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა ისეთი გარემოს შექმნით, სადაც ისინი შეძლებენ განსხვავებული აზრის მიღებასა და პატივისცემას, აგრეთვე, ინკლუზიური განათლების პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. მოსწავლეებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა და პატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაცია | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| A1a.1 | სკოლაში (მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან) ვამყარებ პოზიტიურ კომუნიკაციას, კეთილგანწყობილ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს | | | 3 | | | ხშირად ვიყენებ ამ პრაქტიკას. მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე (ვგულისხმობ დახმარებას, ჩემი საგნის უკეთ შესასწავლად) ხშირად მიწევს დამრიგებლებთან და მშობლებთან კონტაქტი. |
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| A1a.2 | უზრუნველვყოფ მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობას , მათ სოლიალიზაციას, შემწყნარებლობისა და თანადგომის უნარების განვითარებას | | | 3 | | | საგაკვეთილო პროცესში ხშირად ვიყენებ ამ პრაქტიკას. თუკი საჭიროება მოითხოვს აქტიურად ვცდილობ მოსწავლეებს დავეხმარო თანადგომის, თანასწოროების, სოციალიზაციის და შემწყნარებლობის უნარის განვითრებაში, რასაც ვაღწევ მათთან მეგობრული, თბილი, საინტერესო საუბრებს საშუალებით. ასევე მომყავს ცხოვრებისეული მაგალითები. |
| A1a.3 | მოსწვლეების ჩართულობით უზრუნველვყოფ გაკვეთილზე ქცევის წესების დაცვას | | 2 | | | | სწავლის დასაწყისში მოსწავლეებთან ერთად ვადგენ ქცევს წესებს, რაც მომავალში მეხმარება საგაკვეთილო პროცესზე ქცევის წესების დაცვაში. მოსწავლე თავად იღებს მონაწილეობას წესების შედგენაში, კარგად აქვს გააზრებული თითოეული მათგანი. შესაბამისად, იშვიათად არღვევს მას. |
| A1a.4 | მოვიძიებ, ვაფასებ და ეფექტიანად ვიყენებ სასწავლო რესურსებს; უზრუნველვყოფ, რომ რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისათვის | | 2 | | | | თუკი დგება საჭიროება დამატებითი რესურსის გამოყენებისა, ვცდილობ მოვიძიო საჭირო მასალა და უზრუნველვყო მათი მიწოდება ყველასთვის თანაბრად. |

| | | |
|---|---|---|
| A1a_t_ 1თვით რეფლე ქსია-1 | მოიყვანეთ მაგალითები/მტკიცებულებები თქვენი პრაქტიკიდან, რას აკეთებთ ამის მისაღწევად | • როდესაც იგივე საგნის მასწავლებელი მეკითხება რჩევას რაიმე საკითხთან გაკავშირებით დაუზარებლად და აქტიურად ვაწვდი ინფორმაციას. შედეგად მაქვს კარგი უკუკავაშირი პედაგოგისგან, როდესაც რაიმე კითხვით ან დახმარებისთვის მივმართავ მას.<br>• როდესაც მოსწავლე რაიმე საპატიო მიზეზის გამო რამდენიმე დღე ვერ ესწრება საგაკვეთილო პროცესს, იმისათვის რომ იგი არ ჩამორჩეს პროგრამას, ვცდილობ დამატებით დრო დავუთმო მას (დასვენების ან საგაკვეთილო პროცესში, როცა დანარჩენები დამოუკიდებელ წერას წერენ). იგივე ხდება, როცა რომელიმე მოსწავლე/მოსწავლეები ვერ გაიგებს ახალ ან ძველ მასალას ისე, როგორც ამას ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს.<br>• როდესაც მოსწავლე გაცდენების თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ჩამორჩება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას, დამრიგებლის დახმარებით, ვამყარებ კომუნიკაციას მოსწავლის მშობელთან, რათა დეტალურად ავუხსნა შვილის მდგომარეობა, ვურჩიო სად და როგორ სჭირდება მას დახმარება. ასევე ვუთმობ დამატებით დროს, დასვენების ხარჯზე, და ვუხსნი პროგრამას, შემდეგ ვაძლევ დამატებით სავარჯიშოებს საკითხის უკეთ შესასწავლად.<br>• მოსწავლეებს ხშირად ვეუბნები რამდენად მნიშვნეოვანი და აუცილებელია თანასწორუფლებიანობის დაცვა, ემპათიის გრძნობის გამოხატვა, თანაგრძნობის და დახმარების ხელის გაწვდენა მათი თანატოლებისათვის. |

| | | |
|---|---|---|
| A1a_t_ 2თვით რეფლე ქსია-2 | ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით | • უფრო აქტიურად ვითანამშრომლებ მშობლებთან და კათედრის სხდომებზე განვიხილავ კონკრეტულ პრობლემებს.<br>• უფრო აქტიურად ვითანამშრომლებ კლასის დამრიგებლებთან.<br>• მოსწავლეებთან ერთად შევქმნი სასწავლო რესურსებს, ჩავრთავ მოსწავლეებს სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში, მოვემზადებით ოლიმპიადებისათვის.<br>• მოსწავლეებთან ერთად მოვახდენ შეცდომების ანალიზს და გასწორებას.<br>• გავივლი ტრენინგს, რათა არსებული საკითხები უკეთ გავიაზრო და შევისწავლო. მიღებულ ცოდნას გამოვიყენებ საგაკვეთილო პროცესზე, კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობაში. |

| | | | | | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 0 | |
| **B.** | სასწავლო პროცესის დაგეგმვა | | | | | | |
| B1 | სასწავლო მიზნებისა და შინაარსის განმარტება**: 2** პუნქტი | | | | | | |
| აღწერა | „სასწავლო მიზნებისა და შინაარსის განმარტება" მოიცავს გაკვეთილის დაგეგმვას მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით, ცნებების/კონცეპტების ნათლად და მკაფიოდ განმარტებას, ასევე საგნობრივი შინაარსის უშეცდომოდ გადმოცემას, ინფორმაციის ორგანიზებას, სამეტყველო ენის მრავალფეროვნებასა და კორექტულ გამოყენებას. გაკვეთილის დაგეგმვა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით | | | | | | |
| B1.1 | გაკვეთილს ვგეგმავ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების/შესაძლებლობების გათვალისწინებით | | 2 | | | | სასწავლო წლის დასაწყისში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ვადგენ თემატურ - კალენდარულ გეგმას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რის მიხედვითაც ვხელმძღვანელობ საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას. |
| B1.2 | ვგეგმავ სასწავლო პროცესს იმგვარად, რომ ხელი შევუწყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და მათ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში | | | 3 | | | ამ პრაქტიკას ხშირად ვიყენებ, რადგან ვთვლი, რომ მოტივაციის ამაღლების გარეშე რთულია დასახული მიზნის მაქსიმალურად მიღწევა. |

| | | |
|---|---|---|
| B1t_1 თვით-რეფლექსია-1 | მოიყვანეთ მაგალითები/მტკიცებულებები თქვენი პრაქტიკიდან, რას აკეთებთ ამის მისაღწევად | • სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად ვიყენებ სასწავლო წლის დასაწყისში შედგენილ თემატურ - კალენდარულ გეგმას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას<br>• ვცდილობ ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეებს მივცე განმავითარებელი შეფასება, რაც კარგად მოქმედებს მათი მოტივაციის ამაღლებაზე.<br>• საშინაო დავალებების შემოწმებისას ვაკეთებ წერილობით (დადებით) კომენტარს, რაც მოტივაციისს ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.<br>• სიტყვიერი კომენტარით, მიმიკით თუ ჟესტიკულაციით ვახდენ მოსწავლეთა წახალისებას საგაკვეთილო პროცესზე, რაც დადებითად მოქმედებს მათი მოტივაციის ამაღლებაზე. |

| | | |
|---|---|---|
| B1t_2 თვით-რეფლექსია-2 | ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით | • ფიზიკის შესწავლისას გამოვიყენებ უფრო მეტ თვალსაჩინოებებს, რათა მოსწავლემ უკეთ აღიქვას შესასწავლი მასალა.<br>• გავივლი ტრენინგებს პროფესიული განვითარების მიზნით.<br>• კათედრის წევრებთან ერთად დავგეგმავ გაკვეთილებს, სადაც გავითვალისწინებ კოლეგების გამოცდილებას.<br>• დავგეგმავ ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ხერხს.<br>• უფრო მეტად გავამახვილებ ყურადღებას განმავითარებელ შეფასებაზე.<br>• სისტემატური გამნავითარებელი შეფასების საშუალებით შევეცდები მოსწავლეები გახდნენ თავდაჯერებულები და გავუღვივო მათ სწავლის სურვილი.<br>• სისტემატიურად შევიტან გაკვეთილის გეგმაში ისეთ აქტივობებს, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს მოტივაციის ამაღლების უნარს. |

| | | | | | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 0 | |
| **B.** | სწავლება | | | | | | |
| B2 | სწავლების სტრატეგიები: **2** პუნქტი | | | | | | |
| აღწერა | „სწავლების სტრატეგიები" მოიცავს: ინსტრუქციების გამოყენებას აქტივობების დასაგეგმად, მეტაკოგნიტური უნარების განმავითარებელი სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას, მოსწავლეების დახმარებას სააზროვნო პროცესების უკეთ გააზრებაში და დისკუსიის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებას სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განმავითარებელი სტრატეგიების გამოყენება. | | | | | | |
| B2.1 | მოსწავლეებს მკაფიოდ და გასაგებად გადავცემ ინფორმაციას, ვეხმარები სასწავლო მასალის ათვისებაში | | | 3 | | | ამ პრაქტიკას ხშირად ვიყენებ. ახალი თემის ახსნისას რამდენჯერმე, დაუზარებლად, ხალისიანად და ეფექტურად ვიმეორებ ასახსნელ მასალას სხვადასხვა სიტყვებით, მომყავს პრაქტიკული მაგალითები. ეს გზა ეხმარება მოსწავლეებს თემის გააზრებასა და განმტკიცებაში. |
| B2.2 | ვიყენებ სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარების განმავითარებელ მრავალფეროვან სტრატეგიებს | | 2 | | | | საგაკვეთილო პროცესზე ვცდილობ ხშირად მივცე მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასება. |

| | | |
|---|---|---|
| | | • ასახსნელ მასალას ვხსნი რამდენჯერმე სხვადსხვა სიტყვებით, მომყავს პრაქტიკული მაგალითები, რათა პარალელები გაავლონ ახალ თემასა და მის პრაქტიკულ გამოყენებასთან. |
| B2t_1 თვით-რეფლექსია-1 | მოიყვანეთ მაგალითები/მტკიცებულებები თქვენი პრაქტიკიდან, რას აკეთებთ ამის მისაღწევად | • ახალი მასალის ახსნამდე მოსწავლეებს ვუაქტიურებ ამ თემისათვის საჭირო ძველ მასალას, ვატარებ ეგრეთწოდებულ „გამოწვევის ფაზას“ და შემდეგ ვიწყებ ახალი მასალის ახსნას. შესაბამისად უკეთ აკავშირებენ ძველ და ახალ მასალას ერთმანეთთან, შედეგი კი ძირითად შემთხვევაში მიღწეულია.<br>• თუ მოსწავლეს/მოსწავლეებს დასჭირდა დამატებით დახმარება ახალი მასალის ათვისებაში ან ძველი მასალის გახსენებაში, ვცდილობ ინდივიდუალურად დავეხმარო მას, თუ რომელიმე საგაკვეთილო [illegible] [illegible] თუ საჭირო გახდა დამატებით ვუდგენ მასალას ან სხვა დავალებებს ვაძლევ (დამატებით) თემის უკეთ შესასწავლად. |
| B2t_2 თვით-რეფლექსია-2 | ჩამოაყალიბეთ, როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით | • ახალი მასალის შესწავლისას გამოვიყენებ უფრო მეტ თვალსაჩინოებებს, რათა მოსწავლემ უკეთ აღიქვას შესასწავლი მასალა.<br>• სისტემატიურად მივცემ ისეთ დავალებას, რომელიც დაეხმარება კვლევითი უნარების განვითარებაში.<br>• სისტემატიურად შევიტან გაკვეთილის გეგმაში ისეთ აქტივობებს, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს თვითშეფასების უნარს.<br>• მოსწავლეებს გავაანალიზებინებ შემაჯამებელი სამუშაოს შედეგებს და დავუწერ განმავითარებელ კომენტარებს. |
| | | • მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოს მიხედვით ვაძლევ საშინაო დავალებებს, რომელიც მეხმარება სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში. |

| | | | | | | | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 0 | |
| **C** | მოსწავლეთა შეფასება | | | | | | |
| **C1** | სწავლების დროს შეფასების გამოყენება: **2** პუნქტი | | | | | | |
| აღწერა | "სწავლების დროს შეფასების გამოყენება" მოიცავს მასწავლებლის მიერ მოსწავლეების მიღწევების შემოწმებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ესენია: გამოკითხვა, პრეზენტაცია, კითხვების დასმა და ა.შ. ასევე სისტემატურად შემოწმებას მონიტორინგის საფუძველზე, უკუკავშირის რეგულარულად მიწოდებას და შეფასების რუბრიკების შემუშავებას.შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკის გაცნობა | | | | | | |
| C1.1 | მოსწავლეთა შეფასების მიზნით ვქმნი და ვიყენებ შესაბამის ინსტრუმენტებს | | | 3 | | | ამ პრაქტიკას ვიყენებ ხშირად, რადგან ნებისმიერი სახის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად, შესაბამისად ვიყენებ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, სიტყვიერ კომენტარს. |
| C1.2 | მოსწავლეთა წარმატების უზრუნველსაყოფად და მათი მიღწევების შესაფასებლად ვიყენებ მრავალფეროვან სტრატეგიებს: მოსწავლეებს რეგულარულად ვაწვდი უკუკავშირს. | | | 3 | | | მოსწავლეებს ვამლევ მკაფიო და აღწერით უკუკავშირს, რათა შეძლონ საკუთარი ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და გაღრმავება. |

| | | |
|---|---|---|
| C1t_1 თვით-რეფლექსია-1 | მოიყვანეთ მაგალითები/მტკიცებულებები თქვენი პრაქტიკიდან, რას აკეთებთ ამის მისაღწევად | • ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ვადგენ შემაჯამებელი სამუშაოს შინაარსსა და თემატიკას, ის შეესაბამება მოსალოდნელ შედეგებს.<br>• მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვამელოს მიხედვით ვაძლევ საშინაო დავალებებს რომელიც ეხმარება სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში. |
| C1t_2 თვით-რეფლექსია-2 | ჩამოაყალიბეთ,როგორ შეიძლება თქვენი პრაქტიკის გაუმჯობესება ამ მიმართულებით | • სისტემსტურად შევიტან გაკვეთილის გეგმაში ისეთ აქტივობებს რომელიც მოსწავლეს განუვითარებს თვითშეფასების უნარს<br>• ვიქნები პოზიტიური და სისტემატური გამნავითარებელი შეფასების საშუალებით შევეცდები  მოსწავლეები გახდნენ თავდაჯერებულები და გავუღვივო მათ სწავლის სურვილი.<br>• მოსწავლეებს გავაანალიზებინებ  შემაჯამებელი სამუშაოს შედეგებს და დავუწერ   განმავითრებელ კომენტარებს<br>• სისტემატიურად შევიტან გაკვეთილის გეგმაში ისეთ აქტივობებს, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს თვითშეფასების უნარს.<br>• სისტემატურად მივცემ ისეთ დავალებას, რომელიც დაეხმარება კვლევითი უნარების განვითერებაში. |

| D | **II.**პროფესიული პასუხისმგებლობები | **დიახ/არა** |
|---|---|---|
| **D1** | პროფესიული ქცევა**: 7** პუნქტი | |
| აღწერა | „პროფესიული ქცევა“ მოიცავს მასწავლებლის დისციპლინურ ქცევას და ეთიკური ნორმების დაცვას სასკოლო სივრცეში, მასწავლებლის დაცვას სასკოლო სივრცეში, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსის ზედმიწევნით ცოდნასა და გამოყენებას პრაქტიკაში | |
| D1.1 | გაკვეთილზე ვცხადდები დროულად | დიახ |
| D1.2 | მოსწავლეებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ვარ კონსტრუქციული, კორექტული და ვიცავ ეთიკის ნორმებს | დიახ |
| D1.3 | საჭირო დოკუმენტაციას ვაწარმოებ დროულად და ხარისხიანად | დიახ |
| D1.4 | თავს ვარიდებ თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებას სასკოლო სივრცეში | დიახ |
| D1.5 | ჩემი ჩაცმულობა სასკოლო სივრცეში შეესაბამება მასწავლებლის ეთიკის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს | დიახ |
| D1.6 | მოსწავლეებს ვაწვდი მხოლოდ სანდო, მეცნიერული თეორებითა და ფაქტებით გამყარებულ ინფორმაციას | დიახ |
| D1.7 | პატივს ვცემ მოსწავლეთა რელიგიურ მრწამსს, ეთნიკურ კუთვნილებას, მათ კულტურულ თუ სოციალურ ღირებულებებს | დიახ |

| D | **II.**პროფესიული პასუხისმგებლობები | დიახ/არა |
|---|---|---|
| D2 | პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა**: 14**<br>პუნქტი | |
| აღწერა | „პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა“ მოიცავს მასწავლებლის მიერ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე რეგულარულ ზრუნვას, მაგ. პროფესიული ლიტერატურის გაცნობას, კოლეგებთან თანამშრომლობას, კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სახის პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობას. | |
| D2.1 | მოვიძიებ და ვეცნობი  პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო ბეჭდურ, ელექტრონულ და მულტიმედიურ რესურსებს | არა |
| D2.2 | ვეუფლები ეფექტური სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ი ნფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს | არა |
| D2.3 | ვეუფლები სსსმ სწავლების მეთოდიკას და მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე<br>მორგებულ  სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს | არა |
| D2.4 | არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის: ვეუფლები სახელმწიფო ენას და ვეცნობი ქართულ კულტურას | არა |
| D2.5 | ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მასწავლებლებისთვის: ვეუფლები ეთნიკური ჯგუფის ენას და ვეცნობი მის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს | არა |

| | | |
|---|---|---|
| D2.6 | პროფესიული განვითარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობ კოლეგებთან, როგორც სკოლის შიგნით, ისე მის გარეთ-ვმონაწილეობ კონფერენციებში, სემინარებში, ვორქშოფებში, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ პროგრამებში და ერთობლივ ღონისძიებებში. | არა |
| D2.7 | შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას აქტიურად ვნერგავ პრაქტიკაში და ვცდილობ მივიღო უკუკავშირი თვითშეფასების, კოლეგების შეფასებისა და მოსწავლეთა შედეგების გზით | დიხ |
| D2.8 | საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სკოლის განვითარების მიზნით ვცდილობ დავნერგო ინოვაციური მიდგომები სწავლა-სწავლებაში, ასევე შევქმნა სხვადასხვა სახისა და ფორმატის ახალი სასწავლო რესურსები, რომლებსაც ვაცნობ/ვუზიარებ კოლეგებს | არა |
| D2.9 | ვქმნი პროფესიულ საქაღალდეს, რომელშიც თავს ვუყრი ჩემი პრაქტიკის ამსახველ მასალას,<br>რაც გამომადგება როგორც მე, ისე ჩემს კოლეგებს პროფესიულ საქმიანობაში | დიახ |
| D2.10 | პროფესიული განვითარების პროცესზე დაკვირვებისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ვადგენ საკუთარ საჭიროებებს და ვგეგმავ შესაბამის აქტივობებს საკუთარი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად | დიახ |
| D2.11 | ვაანალიზებ მოსწავლეთა შეფასების შედეგებს, რასაც ვითვალისწინებ სასწავლო პროცესის დასახვეწად, მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად და საკუთარი პროფესიული ზრდისთვის | დიახ |

| | | |
|---|---|---|
| D2.12 | ვიღებ ინიციატივას და ვუძღვები სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებას სკოლაში (ვარ ფასილიტატორი, მენტორი, კურატორი, კათედრის ხელმძღვანელი, პროექტის ავტორი და სხვ.) | არა |
| D2.13 | ჩართული ვარ მასწავლებელთა პროფესიულ გაერთიანებებში და ხელს ვუწყობ მასწავლებლის  როფესიის პოპულარიზაციას | არა |
| D2.14 | ვახდენ პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებას, შეგროვილი ინფორმაციის გაანალიზებას,  გადაჭრის ეფექტიანი გზების განსაზღვრას, ინტერვენციების განხორციელებას და მათი ეფექტიანობის შეფასებას | დიახ |